ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №54

დ. ხულო

10 მაისი, 2011 წ.

ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალლიტეტი (მის.: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1) ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ თავართქილაძის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე“ (მის.: ხულოს რაიონი სოფ. უჩხო) მიხეილ ბოლქვაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2011 წელს წყლის სისტემების, რეზერვუარების და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების რემონტის, რეაბილიტაციის, კეთილმოწყობის და სხვა სამუშაოების განსახორციელებელ ღონისძიებების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება ფორმა №3 (დანართი №1, №2) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 8814 (რვაათასრვაასთოთხმეტი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) დღის განვალობაში და მიაწოდოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს 4 ეგზემპლარად და CD დისკით დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შექმნილი ჯგუფი.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით. ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის ძრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი.

8. ანგარიშწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით;
ა) ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად შუალედური და საბოლოო ანგარიშსწორების სახით.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადახდო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება. ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.
9.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
9.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
9.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი

პერსონალით. ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07 % ოდენობით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07 % ოდენობით.
10.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პიგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭრბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწობელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისის ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებულ თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ხულოს მუნიციპალიტეტი	ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე "
მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერიძის ქ. №1	მის.: ხულოს რაიონი სოფ. უჩხო
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"-ს ხულოს ფილიალი	ს.ს. „პრივატბანკის"-ს
ს.კ 248056311 ბ/კ: LBRTGE22	ხულოს სერვისცენტრი
ანგ. №GE29LB0120133255904000	ს. კ. 61009011424 ბ/კ CAVOGE22
ხულოს მუნიციპალიტეტის	ანგ.№ GE73TP0036010020008042
საკრებულოს თავმჯდომარე	მიხეილ ბოლქვაძე
ნოდარ თავართქილაძე	

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

დ. ხულო 04.07.2011 წ.

ერთის მხრივ ხულოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ თავართქილაძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ "მიხეილ ბოლქვაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") მიხეილ ბოლქვაძის სახით, შევთანხმდით, რომ მხარეებს შორის 2011 წლის 10 მაისს გაფორმებული №54 ხელშეკრულებაში ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 ივნისის №46 განკარგულების " სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2011 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ" ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 აპრილის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" შესაბამისად ხულოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაზუსტებული ღონისძიებების დასახელებებისა და სამუშაოთა მოცულობების დაზუსტების საფუძველზე შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

I. ხელშეკრულების მე-3-ის მუხლის 3.1 პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: <u>3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა 9695 /ცხრაათასექვსაოთხმოცდათხუთმეტი/ ლარი</u>

II. ხელშეკრულების მე-4 მუხლი 4.1 პუნქტის ა ქვეპუნქტიი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) დღის განმავლობაში გარდა სოფელ აგარაში სასოფლო კლუბის შენობის რეკონსტრუქცია რემონტის, სოფელ ქედლებში სოფლის სახლის მეორე ეტაპის სამუშაოების დასრულების, სოფელ განახლებაში შანთაძეები- დეკანაძეების უბანში გარე განათების მოწყობის, სოფელ ღორჯომელაძეებში სასოფლო კლუბის ავარიული ნაწილის დემონტაჟი და სახურავის გადახურვის, სოფელ ღურტაში სოფლის სახლის მშენებლობის, სოფელ იაკობაძეებში ლითონის მილების მოწყობის, სოფელ პაქსაძეებში გარე განატების მოწყობის და სოფელ ფაჩხაში სასოფლო კლუბის სარდაფის სართულის გამაგრება საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციისა, რომელთა წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს 2011 წლის 25 ივლისამდე და მიაწოდოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს 4 ეგზემპლიარად და CD დისკით. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ#1.

III. დამტკიცებული ცვლილებების შესაბამისად ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების დანართი #1 / თან ერთვის.

ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანი ხელშეკრულების მიმართ.

შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და არის მისი განუყოფელი ნაწილი.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხულოს მუნიციპალიტეტი	ი/მ „მიხეილ ბილქვაძე“
მის: დაბა ხულო აბუსერისძე ტბელის ქ. №1	მის.: ხულოს რაიონი სოფ. უჩხო
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ხულოს ფილიალი	ს.ს. „პრივატბანკი“-ს
ს.კ 248056311	ხულოს სერვისცენტრი
ანგ. №GE29LB0120133255904000	ს. კ. 61009011424
ბ/კ: LBRTGE22	ანგ№GE73TP0036010020008042
ხულოს მუნიციპალიტეტის	ბ/კ CAVOGE22
საკრებულოს თავმჯდომარე	
ნოდარ თავართქილაძე	მიხეილ ბოლქვაძე
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)